



მცხეთის მუნიციპალიტეტის მერის



KA000094271462718

№ ს-66

16 / იანვარი / 2018 წ.

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

მცხეთის მუნიციპალიტეტში სტიქიის შედეგად დაზიანებული (კერძო და მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული) ქონების გამოვლენის, აღრიცხვის და შეფასების კომისიის შექმნის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-3 პუნქტის, 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ე“ ქვეპუნქტის და 61-ე მუხლის მესამე პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. შეიქმნას მცხეთის მუნიციპალიტეტში სტიქიის შედეგად დაზიანებული (კერძო და მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული) ქონების გამოვლენის, აღრიცხვის და შეფასების კომისია შემდეგი შემადგენლობით:

ა) კომისიის თავმჯდომარე - მცხეთის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე გივი გიუტაშვილი;

ბ) კომისიის თავმჯდომარის მოადგილე - ზედამხედველობის სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - თეიმურაზ ჯერვალიძე;

გ) კომისიის მდივანი - ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის, იურიდიული განყოფილების მეოთხე რანგის პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი თამუნა კვიციანი. კომისიის მდივანი კომისიის მუშაობაში მონაწილეობას იღებს წევრის სტატუსით და მონაწილეობს გადაწყვეტილების მიღების პროცესში ხმის უფლებით. კომისიის მდივანი უზრუნველყოფს კომისიის სხდომის ოქმის წარმოებას.

დ) კომისიის წევრები:

დ.ა) სივრცითი მოწყობის და ინფრასტრუქტურის სამსახურის ინფრასტრუქტურის განყოფილების მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - რევაზ ელოშვილი;

დ.ბ) მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის შესყიდვების განყოფილების მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი გიორგი პაპაშვილი;

დ.გ) მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - ილია ციციშვილი;

დ.დ) მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის და ინფრასტრუქტურის სამსახურის სივრცითი მოწყობის განყოფილების მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - გოგი აბუაშვილი;

2.კომისიის მუშაობაში მონაწილეობას იღებს მცხეთის მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენელი და მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, რომლის სამოქმედო ტერიტორიაზეც მოხდება სტიქიის შედეგად ქონების დაზიანება. (მერის წარმომადგენელი და საკრებულოს წევრი გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობს ხმის უფლებით).

3.კომისია უზრუნველყოფს სტიქიის შედეგად დაზიანებული ქონების გამოვლენას, აღრიცხვას, შეფასებას და შესაბამისი დოკუმენტაციის (მათ შორის, ფოტომასალის) წარმოებას.

4.სხდომა გადაწყვეტილებისუნარიანია, თუ მას ესწრება კომისიის შემადგენლობის ნახევარზე მეტი. სხდომაზე გადაწყვეტილება მიიღება კომისიის დამსწრე წევრთა ხმების უმრავლესობით.

5.კომისიის თავმჯდომარის არ ყოფნის შემთხვევაში, მის უფლებამოსილებას ასრულებს კომისიის თავმჯდომარის მოადგილე.

6.დაევალოს მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელს ნინო ჩინაშვილს ბრძანების კომისიის წევრებისათვის გაცნობა.

7.ბრძანება ძალაშია გაცნობისთანავე.

8.ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მცხეთის რაიონულ სასამართლოში (მის.: მცხეთა, სამხედროს ქ. №17) გაცნობიდან 1 (ერთი) თვის ვადაში.

მცხეთის მუნიციპალიტეტის მერი



გიორგი კაპანაძე

